ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის
დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 1 ივლისი № 20 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

121. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

122. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შესახებ.
123. საქართველოს ძველი დედაქალაქის-მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნაკრძალის ორგანიზაციის შესახებ.
124. კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრის ბრინჯა ყველის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ.
125. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული შრიფტის მუდმივი კომიტეტის შექმნის შესახებ.
126. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მოადგილედ ვ. ი. ცინცაძის დანიშვნის შესახებ.
127. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციის და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ცაგარეიშვილის განთავისუფლების შესახებ.
128. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარედ ი. მ. რუხაძის დანიშვნის შესახებ.
129. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.
130. სახალხო კომისარიატებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებში ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგეობის შემოღების შესახებ.
131. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში საქგუმბრინის საწარმოს გადაცემის შესახებ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

121. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი წლიური ნორმები (ცალობით):

რაიონები	კოლმეურნეობანი საბნავი მიწის ერთ ჰექტ.	კოლმეურნეები კომლზე	ერთპიროვნული. მეურნე მეურნეობაზე
1	2	3	4
აბაშის რაიონი . .	5	75	100
აფხაზეთის ასსრ . .		75	100
აჭარის ასსრ . .		55	70
ადიგენის რაიონი . .		55	70
ამბროლაურის „ . .		55	70
ასპინძის „ . .		55	70
ახალქალაქის „ . .		100	120
ახალციხის „ .		55	70
ბაშკირეთის „ . .		100	120
ბოგდანოვკის „ . .		100	120
ბორჯომის „ . .		75	100
ბორჩალოს „ . .		100	120
ვანის „ . .		75	100
გეგეჭკორის „ . .		75	100
გორის „ . .		75	100
გურჯაანის „ . .		75	100
დუშეთის „ . .		75	100
ზესტაფონის „ . .		55	70
ზემო-სვანეთის „ . .		55	70
ზუგდიდის „ . .		75	100
ყარაიაზის „ . .		100	120
ქარელის „ . .		75	100
ქვემო-სვანეთის „ . .		55	70
ყაზბეგის „ . .		55	70

რაიონები	კოლმეურნეობანი საბნავი მიწის ერთ ჰექტ.	კოლმეურნეები კომლზე	ერთპიროვნული მეურ- ნე მეურნეობაზე
1	2	3	4
კასპის რაიონი	5	75	100
ყვარელის „		75	100
ქუთაისის „		75	100
ლაგოდეხის „		75	100
ლანჩხუთის „		75	100
ლუქსემბურგის „		100	120
მახარაძის „		55	70
მაიაკოვსკის „		55	70
მცხეთის „ . . .		75	100
ონის „		55	70
ორჯონიკიძის „		55	70
ფოთის „		55	70
საგარეჯოს „		100	120
სამტრედიის „		75	100
საჩხერის „		75	100
სიღნაღის „		100	120
თბილისის „		100	120
თეორიწყაროს „		100	120
თელავის „		75	100
თიანეთის „		100	120
ტყიბულის „		55	70
ხაშურის „		75	100
ხობის „		75	100
ცაგერის „		55	70
წალენჯიხის „		55	70
წალკის „		100	120
წითელ-წყაროს „		100	120
წულუკიძის „		75	100
წყალტუბოს „		75	100
ცხაკაიას „		75	100
ჭიათურის „		55	70
ჩოხატაურის „		55	70
ჩხარის „		75	100
ჩხოროწყუს „		55	70
სამხრეთ-ოსეთის ა/ო . . .		75	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს, რომ 1941 წელს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმები დროებით გამოიანგარიშება შეღავათიან პირობებში, სახელდობრ, ამ დადგენილებით დამტკიცებული ნორმების 60% რაოდენობით.

3. კოლმეურნეობათა მიერ კვერცხის სავალდებულო ჩაბარების დადგენილი რაიონობრივი ნორმები, როგორც წესი, გამოყენებულ იქნას რაიონის ყველა კოლმეურნეობის მიმართ.

ცალკეული კოლმეურნეობებისათვის, გამონაკლისის სახით, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის დამტკიცებით დაშვებულ იქნას კვერცხის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმის გადიდება ან შემცირება 30% ფარგლებში იმ აუცილებელი პირობით, რომ დაცულ იქნას კვერცხის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმა, რომელიც დამტკიცებულია საშუალოდ რაიონისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 4 ივნისი. № 1047.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

122. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის დებულებისა და გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 30 მაისი № 1001.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შესახებ

1. „სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს და თავის მუშაობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ სა-

ხალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი ახორციელებს უმკაცრეს კონტროლს იმ სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა და ხარჯვაზე, რომლებიც იმყოფება საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა განკარგულებაში, აგრეთვე ამოწმებს სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) ყოველდღიური, როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლი მე-3 მუხლში აღნიშნული სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა, შენახვასა და დახარჯვაზე.

ბ) გეგმით გათვალისწინებული და უეცარი სახელმწიფო რევიზიების ჩატარება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მითითებათა მიხედვით;

გ) საქართველოს სსრ მთავრობისათვის დასკვნების მიცემა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

დ) სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების შემოწმება როგორც მათი დავალებით, ისე სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის შეხედულებისამებრ.

5. სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობათა აღრიცხვის, შენახვისა და ხარჯვის კონტროლს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი შემდეგი გზით ანხორციელებს:

ა) ამოწმებს და რევიზიას უკეთებს, თუ რა მდგომარეობაში ინახება სახელმწიფო სახსრები და მატერიალური ფასეულობანი და როგორ არის დაყენებული მათი აღრიცხვა, აგრეთვე რა მდგომარეობაშია აღნიშნული სახსრებისა და ფასეულობათა ხარჯვის შესახები ანგარიშგება;

ბ) ამოწმებს და რევიზიას უკეთებს, თუ რამდენად კანონიერია ოპერაციები და რამდენად შეესაბამება ხარჯები გეგმით გათვალისწინებულ დანიშნულებასა და დაწესებულ ნორმებს.

6. საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, საწყობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წინასწარი კონტროლი ხორციელდება საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო კომისრის შეხედულებისამებრ და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა წინასწარი კონტროლის ჩატარება გათვალისწინებულია კანონებით ან სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებით, ან სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მითითებით.

წინასწარი კონტროლი ტარდება ხარჯთაღრიცხვების, საგასავლო ფულადი დოკუმენტების, მატერიალურ ფასეულობებზე წარდგენილ განაცხადთა და განაწესთა შემოწმების გზით, ამასთან საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კონტროლიორს უფლება აქვს ყადაღა დაადოს მთელ ხარჯს ან მის ნაწილს.

იმ მატერიალური ფასეულობისა და გასავლის მუხლების ნუსხა რომელთა მიმართაც სავალდებულოა წინასწარი კონტროლი, აგრეთვე წინასწარი კონტროლის ჩატარების წესი განისაზღვრება იმ წესებით, რომლებსაც გამოსცემს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი და საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

7. შემდგომი კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის სახელმწიფო რევიზიის გზით, აგრეთვე საბუხჰალტრო ჩანაწერთა: საანგარიშგებო და დოკუმენტური მონაცემების შემოწმების გზით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა:

ა) მისცეს ყველა სახალხო კომისარიატისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამართველოებისა და კომიტეტების და მათი ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე ყველა სხვა საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოსა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო მითითებანი სახელმწიფო კონტროლის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მათ მიერ ანგარიშების, ახსნაგანმარტების, ცნობებისა და სხვა მასალის წარდგენის შესახებ;

ბ) კონტროლისა და რევიზიის პროცესში სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა შენახვასა და ხარჯვაში აღმოჩენილი ყველა ნაკლი, აგრეთვე მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შეუსრულებლობის ფაქტები აცნობოს იმ დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს სათანადო ხელმძღვანელებს, რომლებსაც რევიზია ეწევა და მისცეს მათთვის სავალდებულო მითითებანი; განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი საქართველოს სსრ მთავრობას და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარს მოახსენებს რევიზიის შედეგებს და სახელმწიფო კონტროლის მიერ მიცემულ მითითებებს.

გ) იმათ ვინც დამნაშავეა მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში, აღრიცხვის ჩამორჩენაში, მატერიალურ და ფულად ფასეულობათა უყარრათოდ შენახვასა და ხარჯვაში, სახელმწიფო კონტროლის ორგანოებისათვის არასწორი ცნობების წარმოდგენაში,—დაადოს დისციპლინარული სასჯელი: მითითება, საყვედური, სასტიკი საყვედური, თანამდებობიდან გადაყენება.

ზემოაღნიშნულ სასჯელს ადებს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი, ეს სასჯელი შეიტანება პირად საქმეში ან ნამსახურობის სიაში და, მისი მითითებით, შეიძლება გამოქვეყნებულ იქნას პრესაში;

დ) დააწეროს ფული, სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად, თანამდებობის იმ პირთ, რომლებმაც ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს;

ე) იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ბოროტმოქმედება და სხვა დანაშაულებრივი მოქმედება, დამნაშავენი დადგენილი წესით მისცეს სამართალში.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატში იქმნება სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით. კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის წარდგენით.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება შემდეგი თანამდებობანი: მთავარი კონტროლიორი გარკვეული საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის ხაზით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამმართველოსა და კომიტეტის ხაზით, უფროსი კონტროლიორი, კონტროლიორი და კონტროლიორის თანაშემწე.

11. რევიზიის საწარმოებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისართან იქმნება უფროსი რევიზორებისა და რევიზორების თანამდებობანი.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის წარდგენით და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისართან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის უფროს კონტროლიორებსა და უფროს რევიზორებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის წარდგენით.

კონტროლიორებს, რევიზორებსა და კონტროლიორთა თანაშემწეებს ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ექსპერტები და საქმის მცოდნე სხვა პირნი.

13. ადგილებზე კონტროლის განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი რესპუბლიკის სამეურნეო მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვან რაიონებში, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ნიშნავს მთავარ კონტროლიორებსა და კონტროლიორებს.

14. ამ დებულების მე-13 მუხლში აღნიშნული მთავარი კონტროლიორები და კონტროლიორები საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარს ექვემდებარებიან და მის ხელმძღვანელობით მოქმედებენ.

ადგილობრივი კონტროლიორების უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებით და ინსტრუქციებით რომლებსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი გამოსცემს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებითა და წესებით.

15. სახელმწიფო კონტროლის კონტროლიორები და რევიზორები ვალდებული არიან თავის დროზე და გულდასმით განახორციელონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, მათ თავიანთი საქმიანობისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევს სახელმწიფოს წინაშე.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება: საქმეთა მმართველობა, საიდუმლო ნაწილი და საფინანსო ნაწილი.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი თავისი საქმიანობის წლიურ ანგარიშს უდგენს საქართველოს სსრ მთავრობისა და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 მაისისა.

---

123. საქართველოს ძველი დედაქალაქის—მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნაკრძალის ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მცხეთა-არმაზის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ სამუშაოთა დაუბრკოლებლივ და გეგმაშეზომილად ჩატარების, აგრეთვე ისტორიული ძეგლების სრულად დაცვის მიზნით, გაიყოს ეს რაიონი ორ ზონად: ა) ნაკრძალ ზონად და ბ) დაკვირვების ზონად.

2. ნაკრძალ ზონად ჩაითვალოს ბაგინეთის, სამთავროსა და არმაზის მიწის ნაკვეთები და მიმაგრებულ იქნას ეს ნაკვეთები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტზე.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ მეცნიერეაბათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მიწსახკომის მიწათმოქმედების სამმართველოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისიის მიერ შემუშავებული შემდეგი საზღვრები:

ა) ნაკრძალი ზონისა:

I. **ბაგინეთი:** ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ა/კ რკინიგზის ვაკისი, სამხრეთით ზაჰესის პლატფორმიდან სოფ. ქარსანში მიმავალი გზა, დასავლეთით არმაზის ქედის მეორე მწვერვალიდან (აღმოსავლეთის მხრიდან) იმ ადგილამდე, სადაც რკინიგზის ვაკისი სჭრის სოფ. კარსანში მიმავალ გზას;

II. **სამთავრო:** ჩრდილოეთით—ბაიათისხევი, რომელიც ბებრისციხის ნანგრევების სამხრეთით მდებარეობს, დასავლეთით – სოფ. კოდმანი, სამხრეთით—ხევი, რომელიც სამთავროს მცხეთის დაბისაგან ჰყოფს, და აღმოსავლეთით—თბილისი-ორჯონიკიძის გზატკეცილი;

III. **არმაზი:** ის ფართობი, რომელსაც ვიწრო ზოლი უჭირავს არმაზის მთის ძირსა და მდინარე მტკვრის შორის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საკარმიდამო ნაკვეთის აღმოსავლეთით მდებარე სახნავი მიწებიდან სანგრის ხევამდე (მარტაზის ხევი).

ბ) დაკვირვების ზონისა:

I. დაბლობი ზოლი. რომელიც მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირს ეკვრის ნაკულბაკევიდან (ძველი მუხათგვერდისა და კარსანის ჩათვლით) სოფელ ძეგვის ბოლომდე;

II. მდინარე მტკვარსა და არაგვს შორის მდებარე მასივი შიო-მღვიმის ქედის ჩათვლით და წილკანის ველის ჩრდილოეთ საზღვრებამდე სოფ. მისაქციელიდან სოფ. მუხრანამდე;

III. დაბლობი ზოლი, რომელიც მდინარე მტკვრისა და არაგვის მარცხენა ნაპირს ეკვრის, სოფ. ზემო-ავჭალიდან სოფ. საგურამომდე ჩათვლით.

4. ნაკრძალი ზონის ნაკვეთებზე აეკრძალოს ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო პირებს ყოველგვარი შენობების აგება და ამ ნაკვეთების გამოყენება მრავალწლოვანი კულტურებისათვის იმ მომენტამდე, ვიდრე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი თავისი სამეცნიერო დაკვირვებით ზუსტად არ გამოარკვევს—საჭიროა თუ არა აღნიშნული ნაკვეთების მიმაგრება ინსტიტუტზე ან მათი დაბრუნება წინანდელი მფლობელებისათვის.

5. დაკვირვების ზონაში კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს დაეტოვოთ იმის უფლება, რომ მიწის ზედაპირი გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ.

6. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების მცხეთის რაიონულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაკვირვების ზონაში ნაგებობათა ასაშენებლად და მიწის ღრმა სამუშაოების შესასრულებლად ნაკვეთების გამოყოფის დროს აცნობოს ეს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს და საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 30 მაისი № 1020.
თბილისი.

---

124. კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრის ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ.

„კოლმეურნეობათა, კოლმეურნე კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრის ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 23 მაისის № 1405 დადგენილების შესაბამისად და „კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრის ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ“ თავისი 1941 წლის 26 მაისის დადგენილების გასაუქმებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1941 წლიდან კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ცხვრის ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი წლიური რაიონობრივი ნორმები, რაც გამოიანგარიშება კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თითოეული ჰექტარი მიწის ფართობიდან (სახნავი მიწები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები):

I.

ადიგენის	რაიონი	90 გრამი
ასპინძის	„	
ახალციხის	„	
ბორჯომის	„	
გორის	„	
ზნაურის	„	
ქარელის	„	
კასპის	„	
მცხეთის	„	
სტალინირის	„	
ხაშურის	„	

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

ბაშკიჩეთის	რაიონი	150 გრამი
გურჯაანის	„	
ჯავის	„	
ლუქსემბურგის	„	
ლაგოდეხის	„	
საგარეჯოს	„	
თბილისის	„	
თეთრიწყაროს	„	
წალკის	„	

III.

ახალქალაქის	რაიონი	180 გრამი
ბოგდანოვკის	„	
ბორჩალოს	„	
დუშეთის	„	
ყაზბეგის	„	
ყარაიას	„	
ყვარლის	„	
ლენინგორის	„	
სიღნაღის	„	
თელავის	„	
თიანეთის	„	
წითელწყაროს	„	

2. სახელმწიფოსათვის ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმები გამოყენებულ იქნას, როგორც წესი, რაიონების ყველა კოლმეურნეობის მიმართ.

ცალკეული კოლმეურნეობებისათვის, გამონაკლისის სახით, დაშვებულ იქნას სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის დამტკიცებით ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების გადიდება ან შემცირება 50% ფარგლებში, მაგრამ იმ პირობით, რომ აუცილებლად იქნას დაცული ბრინზა ყველის სავალდებულო ჩაბარების საშუალოდ რაიონისათვის დამტკიცებული წლიური ნორმა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 31 მაისი № 1027.
თბილისი.

№ 20
ეროვნული ბიბლიოთეკა

125. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული შრიფტის მუდმივი კომიტეტის შექმნის შესახებ.

იმ მიზნით, რომ მოხდეს ქართული შრიფტის სტანდარტიზაცია, სისტემატურად განახლდეს იგი და შევსებულ იქნას მისი ასორტიმენტი ახალი სახის მეცნიერულად დამუშავებული შრიფტით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული შრიფტის მუდმივ მომქმედი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე (კომიტეტის თავმჯდომარე), საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. თავაძე, აკადემიკოსი ა. შანიძე, აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი, აკადემიკოსი დ. უზნაძე, აკადემიკოსი ა. ჩიქობავა, აკადემიკოსი ს. ჯანაშია, პროფესორი დ. კაკაბაძე, სახელგამის დირექტორი ნ. კიკნაძე, გრაფიკოსი-შრიფტმცოდნე ბ. გორდეზიანი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ვ. ხატიაშვილი სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ტექნიკური დირექტორი ინჟინერ-ტექნოლოგი ე. წიწივაძე, საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის კომისარიატის პოლიგრაფიული სამმართველოს უფროსი გ. სურგულაძე და ქანიშვილი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ საქართველოს შრიფტის კომიტეტს შეიმუშაოს ახალი სახის ქართული შრიფტი, განაახლოს არსებული შრიფტი და ჩაატაროს ახალი სახის ქართული შრიფტის გარტურების სტანდარტიზაცია.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სახელგამის დირექციასთან ერთად მოაწყოს ბეჭვდითი სიტყვის კომბინატთან ქართული შრიფტის კაბინეტი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს დებულება ქართული შრიფტის კომიტეტის შესახებ და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. დაწესდეს, რომ ქართული შრიფტის კომიტეტი ყველა თავის წინადადებას ქართული შრიფტის გაუმჯობესებისა და სტანდარტიზაციის საკითხებზე დასამტკიცებლად ურდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

6. წინადადება მიეცეს სახელგამის დირექციას (ამხ. ნ. კიკნაძეს) გადასცეს ქართული შრიფტის კომიტეტს ქართული საშრიფტო მეურნეობის მთელი მასალა.

7. წინადადება მიეცეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ამხ. ყიფშიძეს) უსასყიდლოდ გადასცეს ქართული შრიფტის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინეტს შრიფტის ყოფილი კაბინეტის მთელი ქონება (საგრავერო მანქანა, პროდუქტები, ლაბორატორიის მოწყობილობა და სხვ. მასალები).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 5 ივნისი. № 1067.
თბილისი.

---

126. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მოადგილედ ვ. ი. ცინცაძის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ვ. ი. ცინცაძე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მოადგილედ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 14 ივნისი. № 1093.
თბილისი.

---

127. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციის და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ცაგარეიშვილის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
განთავისუფლებულ იქნას ამხ. შ. ვ. ცაგარეიშვილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, რადგან მან ვერ უზრუნველჰყო რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 14 ივნისი. № 1094.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

128. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარედ ი. მ. რუხაძის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ი. მ. რუხაძე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 14 ივნისი. № 1106.
თბილისი.

129. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთა მოვალეობისაგან ამხ. ნ. ა. გიორგაძე და ამხ. ვ. ს. სავიცკი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

2. შეყვანილ იქნან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში სახალხო კომისარი ამხ. კ. ა. ბერიშვილი (კოლეგიის თავმჯდომარე) და საქხორცმრეწვის დირექტორი ამხ. გ. ს. ავეტისოვი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 17. ივნისი № 1110.
თბილისი.

---

130. სახალხო კომისარიატებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებში ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგეობის შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს სახალხო კომისრებს, ცენტრალურ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების ყველა სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ყველა სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიატსა, საწარმოსა და დაწესებულებაში ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგეობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 23 ივნისი. № 1150
თბილისი

---

131. საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში საქგუმბრინის საწარმოს გადაცემის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 17 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადასცეს საქგუმბრინის საწარმოები სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

გადაცემა მოხდეს 1941 წლის 1 ივნისისათვის არსებული ბალანსის მიხედვით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **რ. ჭელიძე.**

1941 წ. 24 ივნისი. № 1156.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა
41-

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 1229 ტირაჟი 1600